უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

14 აპრილი, 2026 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევების შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

სახელი: ზურაბ

გვარი: აზნაურაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საჯარო მმართველობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.02.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	26.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25.02.2032

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს.
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013).
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. (სტანდარტი 1.2) პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მიღწევის გაზომვადობა;
2. (სტანდარტი 1.3) შემუშავდეს სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემა, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა;
3. (სტანდარტი 1.5) პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი: „სტრატეგიული მენეჯმენტი“;
4. (სტანდარტი 5.3) პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის სამსახურმა სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული აქტივობა მესამე დონის (განმტკიცება) სასწავლო კურსებიდან.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

1. უნივერსიტეტმა სრულად გადახედა და სრულყო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. დაზუსტდა პირდაპირი მეთოდით შეფასების მექანიზმი, სახელმძღვანელო ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით. დეტალურად გაიწერა ინდიკატორების შესაბამისობის რუკა სასწავლო კურსებთან და

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

შეფასების გეგმა, რაც ხარისხის სამსახურს აძლევს პროგრესის მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობას.

2. პროგრამის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სწავლის შედეგები მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა დახვეწილი ფორმულირებით, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა ერთი ან ორი აქტიური ზმნა.
3. უნივერსიტეტმა რეკომენდაცია არსობრივად შეასრულა თემატიკის ინტეგრირების გზით. პროგრამის სტრუქტურის დარღვევისა და დუბლირების თავიდან ასაცილებლად, სტრატეგიული მართვის საკვანძო საკითხები დამატებით აისახა ორ სავალდებულო კურსში: „საჯარო ორგანიზაციების მართვა“ და „მუნიციპალური და რეგიონული მმართველობა“. ჯამში დაემატა 5 გამსხვილებული თემა, რაც ფარავს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებს.
4. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიით განისაზღვრა, რომ სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოხდეს სწორედ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება შესაბამისი შედეგების განმტკიცება (დონე-3). მონიტორინგის პროცესი მოიცავს დაკვირვებას სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე ამ კონკრეტული კურსების ფარგლებში.

რჩევები[8]

1. სასურველია, გადაიხედოს „საჯარო მმართველობის" სილაბუსი, თემატიკისა და სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
2. სასურველია სრულყოფილი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც გაზომავს ეთიკურ მსჯელობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მმართველობის პროცესში.
3. სასურველია დაამატოთ კურსის დასკვნითი პროექტები, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ საჯარო ადმინისტრირების მიმდინარე საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს.
4. სასურველია რეგულარულად მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა და განახლება, რაშიც აისახება საჯარო მმართველობის თანამედროვე გამოწვევები და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.
5. სასურველია ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც ეხება საჯარო მმართველობაში წარმოქმნილ გამოწვევებს, როგორიცაა ციფრული მმართველობა, საჯარო-კერძო პარტნიორობა და მდგრადობა საჯარო პოლიტიკაში.
6. სასურველია პროგრამის საერთაშორისო ფოკუსის გაძლიერება გლობალური საჯარო ადმინისტრირების ტენდენციების კურსებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დამატებით.
7. სასურველია დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზება, რომლებიც მორგებული იქნება მმართველობის კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა ურბანული დაგეგმარება, კრიზისების მართვა და ელექტრონული მმართველობა.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო).

8. სასურველია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების აქტივობების დანერგვა, სადაც სტუდენტები იმუშავებენ რეალურ პოლიტიკურ გამოწვევებზე ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
9. სასურველია გაიზარდოს როლური თამაშებისა და სიმულაციური სავარჯიშოების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა „პოლიტიკის ანალიზი“ და „საჯარო ფინანსები“, რათა სტუდენტს განუვითაროთ გადაწყვეტილების მიღების უნარი.
10. სასურველია დამყარდეს პარტნიორობა სამთავრობო უწყებებთან სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და პრაქტიკული მომზადების მეტი შესაძლებლობის შესაქმნელად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რჩევები განხილულ და გაანალიზებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამაში ჩართულ განმახორციელებელ პერსონალთან, ასევე, ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე.

საანგარიშო პერიოდში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული პროგრამის / ცალკეული კურსის გაუმჯობესების მიმართულებით შემოთავაზებული წინადადებები.

კერძოდ: გადაიხედა საჯარო მმართველობის სასწავლო კურსის სილაბუსი თემატიკისა და ლიტერატურის შესაბამისობის კუთხით, შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება: გასწორდა გვერდების მითითებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი, გარდა აღნიშნულისა, ცალკეული საკითხების უფრო ფართოდ გააზრების მიზნით, დამხმარე ლიტერატურის სახით დაემატა შემდეგი რესურსები: საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი, 2015; გაბისონია ლ., „პიროვნება სახელმწიფო საზოგადოება“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2009; ბაღათურია გ., ბაღათურია ო., „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში“, თბ. 2009. „საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018.

ლიტერატურა განახლდა/დაემატა ასევე სხვა სასწავლო კურსებში, მათ შორისაა: სამოხელეო სამართალი; მუნიციპალური სამართალი; საჯარო ორგანიზაციების მართვა; პოლიტიკური კონფლიქტების მართვა; მუნიციპალური და რეგიონული მმართველობა.

გათვალისწინებულ იქნა ასევე რჩევა სასწავლო კურსების პრაქტიკულ აქტივობებზე ორიენტირებული დავალებებით გამდიდრების თაობაზე და ცალკეულ კურსებში (მათ შორის, საჯარო პოლიტიკის ანალიზი და დაგეგმვა; საჯარო მმართველობა; მუნიციპალური და რეგიონული მართვა და სხვ.) მეტად ინტეგრირდა ისეთი დავალებები, რომლებიც მოიცავს შემთხვევის შესწავლას, პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტას, დავალების პრეზენტაციას.

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

შესაბამისად, მცირედ მოდიფიცირდა დავალებების შეფასების კომპონენტიც (დავალებების რაოდენობა და რუბრიკებში ქულების გადანაწილება კრიტერიუმებზე).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სტატუსით შეთავაზებული სასწავლო კურსებით იფარება ციფრული მმართველობის, საჯარო-კერძო პარტნიორობის, მდგრადობის საკითხები, პროგრამის ხელმძღვანელებმა განმახორციელებელ პერსონალთან ერთად იმსჯელეს შესაძლებლობაზე - რჩევის შესაბამისად, შემუშავებულიყო და დამატებით არჩევითი კურსების სახით შეთავაზებულიყო ციფრული მმართველობა, საჯარო-კერძო პარტნიორობა, მდგრადობა საჯარო პოლიტიკაში. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ჯერ ვერ მოესწრო კურსების პილოტირება და სრულფასოვნად ინტეგრირება პროგრამის სასწავლო გეგმაში.

უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა გაცემული რჩევებიც. კერძოდ, გადაიხედა „საჯარო მმართველობის“ სილაბუსი, გასწორდა ტექნიკური ხარვეზები და განახლდა ლიტერატურა. სასწავლო კურსებში მეტად ინტეგრირდა პრაქტიკული დავალებები, როგორიცაა შემთხვევის შესწავლა და პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა. თუმცა, ციფრული მმართველობისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი არჩევითი კურსების პილოტირება საანგარიშო პერიოდში ჯერ ვერ მოესწრო.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	**პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომიის ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი მიღწევის გაზომვადობა.**
შეფასება	განახორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების რევიზია. პროგრამის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთა მაქსიმუმ ორი აქტიური ზმნა, რაც უზრუნველყოფს შედეგების უკეთ გაზომვადობას. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა I[15]	

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში.
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით.
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულება	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
კომპონენტის დასახელება	1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია II[16]	**რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და ანალიზის სრულფასოვანი სისტემის შემუშავება, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის თვალის დევნების საშუალებას იძლევა.**
შეფასება	უნივერსიტეტმა სრულად გადახედა და განაახლა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. რევიზიის პროცესში დაზუსტდა სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების მექანიზმი, სახელმძღვანელო ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით. ასევე, დეტალურად გაიწერა ინდიკატორების შესაბამისობის რუკა სასწავლო კურსებთან და შეფასების მეთოდებთან, რაც ქმნის პროგრესის გრძელვადიანი მონიტორინგის მყარ საფუძველს. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა II[17]	
შეფასება	
მტკიცებულებები	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართებით). საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი (თანდართული დოკუმენტი).

სტანდარტის დასახელება[18]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
კომპონენტის დასახელება[19]	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III[20]	**პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი: „სტრატეგიული მენეჯმენტი“**
შეფასება	„სტრატეგიული მენეჯმენტის“ სავალდებულო კურსის დამატების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა გამოიყენა ალტერნატიული, თუმცა შინაარსობრივად ადეკვატური მიდგომა. პროგრამის სტრუქტურის დარღვევისა და თემატიკის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, გადაწყდა სტრატეგიული

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[19] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მართვის საკვანძო საკითხების ინტეგრირება ორ სავალდებულო კურსში: „საჯარო ორგანიზაციების მართვა“ და „მუნიციპალური და რეგიონული მმართველობა“. ჯამში დაემატა 5 გამსხვილებული თემა, რაც უზრუნველყოფს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის დაფარვას. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა III[21]	სასურველია, გადაიხედოს „საჯარო მმართველობის" სილაბუსი, თემატიკისა და სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
შეფასება	გადაიხედა საჯარო მმართველობის სასწავლო კურსის სილაბუსი, გასწორდა გვერდების მითითებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი, ამასთან, დამხმარე ლიტერატურის სახით დაემატა სხვა რესურსებიც. **რჩევა გათვალისწინებულია!**
მტკიცებულებები	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IV[22]	**პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის სამსახურმა სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული აქტივობა მესამე დონის (განმტკიცება) სასწავლო კურსებიდან.**
შეფასება	უნივერსიტეტმა ოფიციალურად ასახა და დაამტკიცა აღნიშნული რეკომენდაცია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში“ (დამტკიცებული 2026 წლის 23 თებერვალს). დოკუმენტში პირდაპირ არის გაწერილი, რომ სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოხდეს სწორედ იმ ეტაპზე, როდესაც სტუდენტი კომპეტენციის დაუფლების უმაღლეს საფეხურზეა. დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც, კურიკულუმის რუკის მიხედვით, ხდება შედეგების განმტკიცება (დონე-3). უშუალო შეფასებისათვის უნივერსიტეტი იყენებს კონკრეტულ აქტივობებს/დავალებებს, როგორიცაა: ტესტი, ესე, პროექტი, პორტფოლიო და საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკის ანგარიში, კვლევა. მეთოდოლოგია ითვალისწინებს არა მხოლოდ შეფასებას, არამედ მიღებული მონაცემების გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად: სწავლის შედეგების მონიტორინგი ბაკალავრიატზე ხდება 4-წლიან, ხოლო მაგისტრატურაზე 2-წლიან

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	დინამიკაზე დაკვირვებით. ამასთან, თუ მესამე დონის კურსებში სტუდენტები ვერ აღწევენ სამიზნე ნიშნულებს, ხარისხის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს კურიკულუმის რუკის, კურსის შინაარსის ან წინაპირობების შესაცვლელად. **რეკომენდაცია შესრულებულია!**
რჩევა IV[23]	
შეფასება	
მტკიცებულება	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

ექსპერტის ხელმოწერა

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)